

ინფორმაცია

ქ. რუსთავში, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

შენიშვნა: ქ. რუსთავში, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების, მათ შორის სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წერილობით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, სააგენტოს N21/2193 წერილის საფუძველზე შეაჩერდა ადმინისტრაციული წარმოება და შპს „ჯეოსთილს“ დაევალა დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ჯეოსთილის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N3463).

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	<p align="center">სამოქალაქო მოძრაობა</p> <p align="center">„გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com</p> <p>მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4</p>	<p>როგორც დოკუმენტშია აღნიშნული საწარმო გეგმავს წიდის დროებითი განთავსების და დამუშავების საწარმოო უბნის მოწყობას. საინტერესოა, ნაწილობრივ დახურული ან შემოღობილი თუ იქნება ეს უბანი, ვინაიდან მოსახლეობა საკმაოდ ახლოს ცხოვრობს და ქარის დროს წიდის წვრილი ფრაქციების ამტვერების რისკი საკმაოდ მაღალია. ასევე, საინტერესოა, ქარის დროს ფრაქციების ამტვერების წინააღმდეგ რა ღონისძიებებია გათვალისწინებული.</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის დასაწყობება ხდება ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ღია მოედანზე.</p> <p>დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში კომპანია განმარტავს, რომ წარმოქმნილი წიდის რაოდენობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით სანაყაროს გადახურვა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან, ამისათვის საჭირო იქნებოდა ძალიან დიდი მოცულობის და სიმაღლის ანგარის მოწყობა, რადგან წიდის განთავსება ხდება თვითმცლელი ავტომანქანების გამოყენებით. ამასთან, მეტალურგიული წარმოების წიდა წარმოადგენს მსხილფრაქციულ ნარჩენს და გამოირჩევა მაღალი სიმკვრივით, შესაბამისად სანაყაროს</p>

			<p>ზედაპირიდან მტვრის გავრცელების რისკი მინიმალურია. კერძოდ, როდესაც ცხელი წიდა ჩამოიყრება წიდის ორმოზე თხევად მდგომარეობაში, ხდება ნაწილაკების შეღებვა/შეკავშირება და მიიღება მაღალი სიმკვრივის მსხვილფრაქციული წიდა. სანაყაროზე განთავსების შემდეგ ნაყარის ზედაპირიდან წიდის მტვრის წარმოქმნის და გავრცელების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. ამტვერების თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველია აირგამწმენდი ფილტრებიდან მიღებული მტვერი, რომლის დაფასოება ხდება ბიგ-ბეგებში და საწყობდება მისთვის სპეციალურად გამოყოფილ, ატმოსფერული ნალექებისგან დაცულ ადგილას.</p> <p>გარდა ამისა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობის (7) შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გაერთიანებული გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც დამატებით გათვალისწინებული იქნება არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვისა და წიდის სანაყაროდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის შემარბილებელი ღონისძიებები. შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად.</p>
--	--	--	--

2	<p>სამოქალაქო მოძრაობა</p> <p>„გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა:</p> <p>gavigudet@gmail.com</p> <p>მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4</p>	<p>სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წერილში დასმული ერთ-ერთი კითხვა მიმართული იყო ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან და საკრებულოს წარმომადგენელთან, რომელიც ეხებოდა საწარმოს ტერიტორიის სამრეწველო ზონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.</p>	<p>ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო, სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ წარმოდგენილი განცხადების გაგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში.</p>
3	<p>სამოქალაქო მოძრაობა</p> <p>„გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა:</p> <p>gavigudet@gmail.com</p> <p>მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4</p>	<p>დოკუმენტაციის თანახმად, წარმადობის გაზრდა საწარმოო სიმძლავრეების შეცვლასთან/გაზრდასთან დაკავშირებული არ იქნება და ზრდა მოხდება მიწოდებული ელექტროენერჯის სიმძლავრის გაზრდით, თუმცა, ასევე ვკითხულობთ, რომ საწარმოს წარმადობა გაიზრდება დაახლოებით 72%-ით. შესაბამისად, საინტერესოა, გაზრდილი წარმადობის შედეგად, არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, რამდენად იზრდება გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა.</p>	<p>დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში კომპანია განმარტავს, რომ გაფრქვევის ინტენსივობა (ერთჯერადი მაქსიმალური-გ/წმ) გაზრდილია უმნიშვნელოდ, რადგან ელექტრორკალური ღუმელის წარმადობა იზრდება მხოლოდ 5 ტ/სთ-ით (იყო 30 ტ/სთ და გახდება 35 ტ/სთ). საწარმოს წარმადობის გაზრდის გამო დაახლოებით 68%-ით გაიზრდება წლიური გაფრქვევის რაოდენობა.</p> <p>გარდა ამისა, დამატებით ინფორმაციას თან ახლავს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი შედარება საწარმოს არსებული და გაზრდილი წარმადობების პირობებში.</p>
4	<p>სამოქალაქო მოძრაობა</p> <p>„გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა:</p> <p>gavigudet@gmail.com</p> <p>მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4</p>	<p>როგორც ანგარიშიდან ირკვევა, საწარმოში მოქმედებს ორივე ტიპის ღუმელი - ელ. რკალურიც და ინდუქციურიც და ეს ღუმელები ერთდროულად არასდროს მუშაობენ. რა პრინციპით ხდება მათი მონაცვლეობითი მუშობა - როდესაც რომელიმე ერთი სარემონტო სამუშაოებშია თუ რაიმე წარმოების სპეციფიკიდან</p>	<p>დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში მოცემულია ელ. რკალური და ინდუქციური ღუმელების გარემოსდაცვითი უპირატესობების შედარებითი ანალიზი. კერძოდ აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N435 დადგენილების მიხედვით, ინდუქციური ღუმელის ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ემისიები დაახლოებით</p>

		<p>გამომდინარე? როგორც ცნობილია, ინდუქციური ღუმელიდან მტვრის გამოყოფა 6-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ელ. რკალური ღუმელიდან, შესაბამისად, საინტერესოა რატომ არ ენიჭება უპირატესობა სრულად ინდუქციური ღუმელის გამოყენებას.</p>	<p>6-ჯერ ნაკლებია ელექტრორკალურ ღუმელთან შედარებით, მაგალითად: დადგენილების 44-ე დანართის მიხედვით 1 ტონა პროდუქციის წარმოებაზე ელექტრორკალური ღუმელის შემთხვევაში გამოიყოფა 8.25 კგ, ხოლო ინდუქციური ღუმელის შემთხვევაში 1.33 კგ მტვერი. მიუხედავად აღნიშნულისა, დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ საწარმოო პროცესში ერთი და იმავე წარმადობის შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოცულობები დაახლოებით იდენტურია, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დნობის ხანგრძლივობა ელექტრორკალურ ღუმელში 4-5 ჯერ ნაკლებია ვიდრე ინდუქციურ ღუმელში; 2. ინდუქციური ღუმელი ყოველი დნობის შემდეგ ექვემდებარება ამონაგის შეცვლას, რაც ასევე საჭიროებს დროის მნიშვნელოვან დანაკარგს. <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს წარმადობის შემთხვევაში ერთი ელექტრორკალური ღუმელის ნაცვლად საჭირო იქნება არანაკლებ 6 ინდუქციური ღუმელის ექსპლუატაცია და შესაბამისად ატმოსფერული ემისიების მოცულობები იქნება დაახლოებით იდენტური. ინდუქციური ღუმელების გამოყენება ხდება მცირე წარმადობის საწარმოებში, როგორც ძირითადი საქმიანობის დამხმარე საშუალება.</p>
--	--	---	--

5	<p>სამოქალაქო მოძრაობა</p> <p>„გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com</p> <p>მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4</p>	<p>დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ფონური გაფრქვევების მოდელირებისას გამოყენებულია მხოლოდ 2 საწარმოს (შპს „რუსთავი ფოლადის“ და შპს „ჯორჯიან ელოის გრუპის“) გაფრქვევები. იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი“ აღარ ფუნქციონირებს და მის ნაცვლად საქმიანობას ეწევა შპს „მნ გრუპი-2021“, სამინისტროს ვთხოვთ, გადაამოწმოს გზშ-ის ანგარიშში ფონურ გაფრქვევებში ნამდვილად შპს „მნ გრუპი-2021“-ის გარქვევების მონაცემებია თუ არა გამოყენებული.</p>	<p>შპს „ჯეოსთილის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა ტექნიკურ ხარვეზს, კერძოდ შპს „მნ გრუპი-2021“-ის ნაცვლად ეწერა შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი“, თუმცა მონაცემთა გადამოწმებით დადგინდა, რომ გზშ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გათვალისწინებული იყო შპს „მნ გრუპი-2021“-ის მონაცემები.</p> <p>გარდა ამისა, კომპანიის მიერ წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციას თან დაერთო დაკორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები პროექტი.</p>
6	<p>სამოქალაქო მოძრაობა</p> <p>„გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com</p> <p>მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4</p>	<p>საწარმო თანახმაა, რომ უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის მონაცემები იყოს საჯარო. ვთხოვთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ უზრუნველყოს ამ და სხვა საწარმოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, მაგალითად, air.gov.ge-ის მსგავსი პლატფორმის მეშვეობით.</p>	<p>ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები (N1698 წერილი), რომელიც მოიცავს კომპანიის უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის შედეგების გასაჯაროების საკითხს, გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში.</p>
7	<p>სამოქალაქო მოძრაობა</p> <p>„გავიგუდეთ“ ელ.</p>	<p>სასურველია შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, ჩვენ მიერ სამინისტროში გამოგზავნილი წერილები ელექტრონულად</p>	<p>2023 წლის 9 იანვარს შპს „ჯეოსთილის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი ქ. რუსთავში, მეტალურგიული საწარმოს</p>

	<p>ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4</p>	<p>გაეგზავნოს კომპანიასაც, რათა სამომავლო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იმავე საქმიანობაზე არ მოხდეს წინა დოკუმენტში არსებული ხარვეზის დუბლირება. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია ხარვეზდება და წერილში გათვალისწინებულია ჩვენი შენიშვნებიც, სასურველია, რომ ეს წერილი ელექტრონულად შემდეგ ელ-ფოსტაზე: gavigudet@gmail.com გამოგვეგზავნოს ჩვენც ან გვეცნობოს. შენიშვნების არგათვალისწინების შემთხვევაში კი, სასურველია, გვეცნობოს ამის მიზეზი.</p>	<p>ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) პროექტის გზშ-ის ანგარიში, კანონით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებული იქნა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული - https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1288).</p> <p>ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, აღნიშნულ პროექტზე გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, როგორც სააგენტოს მოთხოვნის, ისე სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების თაობაზე. ადმინისტრაციული წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (წერილი N21/2193, 29.03.2023; იხ. ბმული - https://nea.gov.ge/Ge/GZSH/4648). ამასთან. სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები დანართის სახით გაეგზავნა შპს „ჯეოსთილს“, რაც ასახულია N21/2193 წერილში.</p> <p>2023 წლის 24 აპრილს შპს „ჯეოსთილს“ მიერ N3463 წერილით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია, რომელიც განთავსებულ იქნა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული -</p>
--	---	---	---

			https://nea.gov.ge/Ge/GZSH/4744). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების შეჩერებასთან დაკავშირებით ინფორმაცია საჯაროდ იქნა გამოქვეყნებული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის.
8	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ აქტიურად ადევნებს თვალს სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებებს, რუსთავში არსებული/დაგეგმილი საწარმოების შესახებ, ესწრება საჯარო განხილვებს და აგზავნის შენიშვნებს, სასურველია, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება ან დასკვნა, რომელიც გაიცემა კონკრეტულ საქმიანობაზე, კომპანიასთან და მუნიციპალიტეტთან ერთად, გამოგვეგზავნოს ჩვენც.	გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტისა და საზოგადოების მონაწილეობის შედეგების შესახებ ინფორმაციის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ნაბეჭდი ეგზემპლარის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.